

ს | ი | ფ | ე



საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის
ჟურნალი №4, 2017



A | L | F | G



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი

№4, 2017

მთავარი რედაქტორი: ზვიად კორძაძე

აღმასრულებელი რედაქტორი: თინათინ შულაროვა

რედაქტორი: თორნიკე ნემსწვერიძე

ნომერზე მუშაობდა: თამარ აბულაძე

დიზაინი, დაკაბადონება და ბეჭდვა: შპს „ბიარტი“

ISSN 2449-2973



აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული
მიზნით ა.ა.ი.პ. საქართველოს იურიდიული ფირმების
ასოციაციის ნებართვის გარეშე

3 სიფას საქმიანობა

3 მედიაციის შემორანდუმი
სიფასა და იუსტიციის
უმალეს საბჭოს შორის

4 ადვოკატის როლის
ბაძლიერება
მართლმსაჭულების
სისტემაში

4 ნავრთა საჭიროების
კვლევა

4 ლანგ-მითინგი
საბადასახადო სამართლის
საკითხებზე

6 ტრენინგი
შრომითსამართლებრივ
დავებზე

8 სისხლის სამართლის
პროცესში მხარეთა
შეჯიბრებითობისა
და თანასწორობის
ბაძლიერება

11 დანახაულის პროვოკაციის
სამართლებრივი
საფუძვლებისა და
ადგილობრივი და
საერთაშორისო
სასამართლო კრატეტიკის
ანალიზი

15 ბადახდისუუნარობის
მმართველთა
პროფესიული
ბანვითარების ტრენინგი

18 სიფას სამუშაო შეხვედრა
იურიდიული ფირმების
ორგანიზაციული
მონყობისა და ეთიკის
სტანდარტების კონცეფციის
ჩამოსაყალიბებლად

20 სამეცნიერო სტატიები

20 ლევან კოკაია

რამდენიმე მოსაზრება
„საერთაშორისო კერძო
სამართლის შესახებ“
საქართველოს კანონის
სრულყოფის შესახებ

29 ქეთი ბენაშვილი

ბადახდვევის ინსტიტუტის არსი
დახდვევის სამართალში

42 ოზარ მთივლიშვილი

დავით ჯავახიშვილი

კერსონალური მონაცემების
დაცვის საკითხების
სამართლებრივი მონესრიგება
და ადმინისტრაციულ ორგანოთა
ვალდებულება

56 ადვოკატთა კლუბი

58 რაკომენდაციები ავტორებისათვის

◇ მედიაციის მემორანდუმი სიფასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის

2017 წლის 4 მაისს, სასტუმროში - “ROOMS HOTEL Tbilisi” საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის მედიაციის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმების მიზანია დავების მორიგებით დასრულების ხელშეწყობა, ამ მიზნით მედიაციის გამოყენება და მედიაციის შესახებ ცნობადობის გაზრდა.

შეხვედრაზე მომხსენებლებმა დამსწრეებს მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. ამასთან, საუბარი იყო სასამართლო მედიაციის პროექტის 2017 წლის სტატისტიკასა და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ სიახლეებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სასამართლო მედიატორთა პრაქტიკაში დაგროვილი პრობლემური საკითხები, დადებითად შეაფასეს მემორანდუმის ხელმოწერა და გამოთქვეს სურვილი, ამ საკითხის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო და გააგრძელონ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სხვა დაწესებულებებთანაც.



◇ „ადვოკატის როლის გაძლიერება მართლმსაჯულების სისტემაში“

წევრთა საჭიროების კვლევა

სიფა-ს წევრთა პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად და ადვოკატების საჭიროებების დასადგენად მიმდინარე პროექტის - „ადვოკატის როლის გაძლიერება მართლმსაჯულების სისტემაში“ - ფარგლებში, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ წევრთა საჭიროებების კვლევა განახორციელა. პროექტი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მხარდაჭერით ხორციელდება; ზემოაღნიშნული კვლევის მთავარი მიზანია სიფა-ს თითოეული წევრის საჭიროების გათვალისწინებით დაიგეგმოს მიმდინარე ღონისძიებები.

კვლევის ფარგლებში, ონლაინ კითხვარის საფუძველზე, გამოიკითხა სიფა-ს წევრთა უმრავლესობა და გამოვლინდა სამართლებრივი მიმართულებების ის საკითხები, რომელთა შესახებ კერძოდ კი, გამოკითხულთათვის განსაკუთრებით სასურველი იყო კვალიფიკაციის ამაღლება სამეწარმეო, სახელშეკრულებო და საგადასახადო სამართალში. კვლევის შედეგად, ასევე, დასახელდნენ სასურველი ტრენერებიც, რომლის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობამ ტრენერების რანგში მოსამართლე და ადვოკატი ერთად დაასახელა.

კვლევის შედეგების საფუძველზე დაიგეგმა სიფა-ს 2017 წლის ღონისძიებები.

ლანჩ-მითინგი საგადასახადო სამართლის საკითხებზე

წევრთა საჭიროების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, 2017 წლის 30 მაისს, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ სასტუმროში - “HOLIDAY INN Tbilisi” გამართა ლანჩ-მითინგი საგადასახადო სამართლის საკითხებზე. შეხვედრას უძღვებოდნენ ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზის მმართველი პარტნიორი - აკაკი ჩარგეიშვილი, “EY Georgia“-ს პარტნიორი და საგადასახადო პრაქტიკის ხელმძღვანელი – ბურაბ ნიკვაშვილი და, ამავე, კომპანიის წარმომადგენლები: სალომე ქარჩხაძე და ირაკლი ჭილაია. მომხსენებლებმა დამსწრე საზოგადოებას მოგების გადასახადის ესტონური მოდელის თავისებურებები გააცნეს. საუბარი იყო

მიმდინარე პროექტები



მოგების გადასახადის ესტონური მოდელით ტრანზაქციების დაბეგვრის პრობლემებზე და ამ უკანასკნელის შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ განხორციელებული პროექტის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PProLoG) - მხარდაჭერით და სი-ფას მიმდინარე პროექტის - „ადვოკატის როლის გაძლიერება მართლმსაჯულების სისტემაში“ - ფარგლებში განხორციელდა.



ტრენინგი შრომითსამართლებრივ დავებზე

2017 წლის 29 ივნისს, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ სასტუმროში - "ROOMS HOTEL Tbilisi" - გამართა ტრენინგი შრომითსამართლებრივ დავებზე. ღონისძიება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ დაფინანსებული სიფა-ს პროექტის - „ადვოკატის როლის გაძლიერება მართლმსაჯულების სისტემაში“ - ფარგლებში განხორციელდა.



ტრენინგს უძღვებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, პროფესორი ქეთევან მესხიშვილი, იურიდიული ფირმა „ღვინაძე და პარტნიორები“-ს უფროსი იურისტი ზაქარია შველიძე და კომპანია „EY GEORGIA“-ს იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი სვანაძე.

ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დასაშვები და დაუშვებელი საფუძვლები ეროვნული და საერთაშორისო შრომის სტანდარტების მიხედვით. ასევე, ტრენინგებმა ისაუბრეს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებზე და გააკეთეს შრომითი და სასამსახურო ხელშეკრულების შედარებითსამართლებრივი ანალიზი. ქალბატონმა ქეთევან მესხიშვილმა თითოეულ საკითხთან მიმართებით ტრენინგის მონაწილეებს გააცნო სასამართლო პრაქტიკა, ხოლო გიორგი სვანაძემ და ზაქარია შველიძემ ადვოკატებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს შრომით ურთიერთობებთან მიმართებით.

ზაქარია შველიძემ ტრენინგის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საერთაშორისო შრომის სტანდარტების როლზე ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში და საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით განიხილა შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში არსებული ზოგიერთი აქტუალური და პრობლემური საკითხი.



გიორგი სვანაძე ტრენინგის მონაწილეებს ესაუბრა, თუ რამდენად შეიძლება უცხო ქვეყნის სამართლის და უცხო ქვეყნის სასამართლოს არჩევა შრომის ხელშეკრულებაში და როგორ ხორციელდება დავის გადაწყვეტა ასეთ შემთხვევებში. ასევე, მან დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, თუ რა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშია შესაძლებელი შრომითსამართლებრივ დავებთან დაკავშირებული უცხო ქვეყნის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება საქართველოში.



საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია ბრუნავს წევრთა საჭიროებებზე და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კვლავ გეგმავს გამართოს საგანმანათლებლო ღონისძიებები.



◇ „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის გაძლიერება“

2017 წლის 10-14 ივლისს საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია მასპინძლობდა სისხლის სამართლის საერთაშორისო ექსპერტს ბ-ნ რიჩარდ გებელინს (აშშ), რომელსაც პროფესიული საქმიანობის 35 წლიანი გამოცდილება აქვს, როგორც მოსამართლისა და პროკურორის, ასევე, საადვოკატო საქმიანობის მიმართულებით. ექსპერტის ვიზიტის მიზანი სიფას მიმდინარე პროექტში - „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის გაძლიერება“ - აქტიური ჩართულობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება იყო. კერძოდ, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ექსპერტებმა – დავით კვაჭანტირაძემ და ქეთევან ჩომახაშვილმა, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებზე და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის ტრილში გაანალიზეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზები. კერძოდ, მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამოდ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დღეს არსებული მოწმის დაკითხვის და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის წესი. ასევე, ექსპერტებმა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს დაცვის მხარის მოთხოვნით განხორციელებული ჩხრეკა/ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის უზრუნველყოფა. ამერიკელ ექსპერტთან შეხვედრისას, პროექტის ექსპერტებმა ისაუბრეს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. ასევე, მათ იმსჯელეს არსებით სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების აკრძალვის მიზანშეწონილობა, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფის ტრილში. გარდა ამისა, პროექტის ექსპერტებმა გაანალიზეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზები გამოძიების მონაცემების გაუმჟღავნებლობის, ფოტოსურათით ამოცნობის, ექსპერტიზის დასკვნის მეორე მხარისთვის გადაცემის და სხვა წესებთან მიმართებით, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს, რომ წინააღმდეგობაშია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებთან.



ბ-ნ რიჩარდ გებელინის ვიზიტის ფარგლებში სიფა-ს წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა, სამუშაო შეხვედრები გამართეს საქართველოს მთავარ პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატასთან, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



ამერიკელ ექსპერტთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის და სხვადასხვა უწყებებთან თუ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატებთან შეხვედრების შედეგად, პროექტის ექსპერტებმა უნდა შეიმუშავონ საბოლოო რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვრებითობის პრინციპის გაძლიერებას სისხლის სამართლის პროცესში.

პროექტი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „კანონის უზენაესობა საქართველოში“ (PROLoG) -

მიმდინარე პროექტები



მხარდაჭერით ხორციელდება და მისი მიზანია სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის გაძლიერება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ მომზადდება სისხლის სამართლის პროცესში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი და წარედგინება პარლამენტს განსახილველად.



საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია მადლობას უხდის როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე, პროფესიული წრის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის და თავიანთი მოსაზრებების გაზიარებისთვის.



◇ დანაშაულის პროვოკაციის სამართლებრივი საფუძვლებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჭიბვებითობის უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების შემუშავება“ - ფარგლებში, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის იურისტებმა - დავით კვაჭანტირაძემ, თინათინ ცხვედიანმა და ალექსანდრე ნოსელიძემ ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩაატარეს კვლევა დანაშაულის პროვოკაციის აკრძალვასთან დაკავშირებით.

კვლევის პროცესში, შესწავლილ იქნა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 100-მდე გადაწყვეტილება, ასევე, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 2014 წლიდან დღემდე წარმოებული სისხლის სამართლის 12 საქმე, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დანაშაულის პროვოცირებას.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ისევე, როგორც საკანონმდებლო სივრცეში არსებობს მთელი რიგი ხარვეზები დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის კუთხით, რომელიც შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ დაუშვებელია დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ეროვნულ სამართალწარმოებაში და ამგვარი მოქმედება არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, კერძოდ კი, კონვენციის მე-6 მუხლს.






აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ ევროკავშირის პროექტის - „სასამართლოს მხარდაჭერა“ - თანადგომით, სასამართლო კორპუსის წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით ორგანიზება გაუწია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომას, რომელიც 2017 წლის 20 ივლისს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა.

სხდომას უძღვებოდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ქალბანატონი ნინო გვენეტაძე, იურიდიული ფირმების ასოციაციის თავმჯდომარე – ზვიად კორძაძე და ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელი, მოსამართლე რენატე ვინტერი.

ლონისძიება პრეზენტაციის და დისკუსიის ფორმატში წარიმართა. კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა - თინათინ ცხვედიანმა დანაშაულის პროვოკაციის შესახებ ისაუბრა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ხოლო დავით კვაჭანტირაძემ დამსწრე საზოგადოებას დანაშაულის პროვოცირებასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკა, საკანონმდებლო ნორმების შინაარსი და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები გააცნო.

საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ლონისძიებაზე მოწვეული იყო ფრანგი მოსამართლე, ემერიტუსი – მარსელ ლემონდი, რომელმაც ისაუბრა, დანაშაულის პროვოცირების აკრძალვასთან დაკავშირებულ სტანდარტებზე და დამსწრე საზოგადოებას საფრანგეთის კანონმდებლობაში დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებული რეგულაცია გააცნო.

ლონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საქალაქო, სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები. ასევე, სხდომაზე წარმოდგენილი იყვნენ სისხლის სამართლის



სპეციალიზაციის მქონე ადვოკატები და საქართველოს პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ექსპერტების მიერ მომზადებულ კვლევასა და რეკომენდაციებზე.

პროექტის ფარგლებში, ექსპერტებმა კვლევასთან ერთად მოამზადეს ცალკეული რეკომენდაციებიც, რომლის საფუძველზეც - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საქართველოს კანონში „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ და საქართველოს კანონში „პროკურატურის შესახებ“ ცვლილებების შესატანად ჩამოყალიბდა ცვლილებათა კანონპროექტის პირველადი ვერსია. აღნიშნული კანონპროექტი, კვლევასთან ერთად, წარედგინა 2017 წლის 20 ივლისს, სამეცნიერო-საკონსულტაციო სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას.

სხდომაზე მიმდინარე დისკუსიის გათვალისწინებით, ივლისის თვის ბოლოს, პროექტის ექსპერტებმა დაასრულეს კვლევაზე მუშაობა და 2017 წლის 31 ივლისს, სასტუმროში - “ROOMS HOTEL Tbilisi”, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, გამოცემული კვლევის - „დანაშაულის პროვოკაციის აკრძალვა“ - დასკვნითი პრეზენტაცია გამართა.

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია თვლის, რომ კვლევის შედეგად შეიმუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საკანონმდებლო, სამართალდაცვით თუ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას და გააძლიერებს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში.





საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია მადლობას უხდის ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერისათვის და თანამშრომლობისთვის. პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის სიფა, ასევე, მადლობას უხდის ევროკავშირის „სა-სამართლოს მხარდაჭერის“ პროექტს და საქართველოს საელჩოს ლიტვაში.



◇ გადახდისუნარობის მმართველთა პროფესიული განვითარების ტრენინგი

USAID G4G-ის მხარდაჭერით, 2017 წლის ივლისიდან საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია ახორციელებს პროექტს - „გადახდისუნარობის მმართველთა პროფესიული განვითარება“. პროექტის მიზანია მაღალკვალიფიციური გადახდისუნარობის მმართველთა პროფესიული წრის განვითარება საქართველოში.



პროექტის ფარგლებში, 24-26 ივლისს, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ ტექნოპარკში გადახდისუნარობის მმართველთა პროფესიული განვითარების სამდღიანი ტრენინგი გამართა. ტრენინგი 5 თვიანი პროფესიული გადამზადების კურსის პირველ ეტაპს წარმოადგენდა, რომელიც ხელს შეუწყობს გადახდისუნარობის მმართველთა პროფესიული გაერთიანების შექმნას და ამით ქვეყანაში მაღალკვალიფიციური გადახდისუნარობის მმართველთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ტრენინგს ესწრებოდა კონკურსის წესით შერჩეული 20 მონაწილე, რომელთაც სრული კურსის წარმატებით გავლის შემდეგ „დასრულების სერტიფიკატი“ გადაეცემათ.



ტრენინგს უძღვებოდა გერმანიიდან მოწვეული, სპეციალიზებული ადვოკატი გადახდისუნარობის მიმართულებით და გამოცდილი გადახდისუნარობის მმართველი დოქტორი გეზა შტემბერგი. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კომპანიის გადახდისუნარობის წარმოების გერმანულ მოდელზე. კერძოდ, საუბარი იყო გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების, გადახდისუნარობის საქმის მმართველის შერჩევის და გადახდისუნარობის საქმის დროებითი (წინასწარი) წარმოების პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, მოწვეულმა ტრენერმა ისაუბრა გადახდისუნარობის მმართველის ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხებზე. ტრენინგი პრაქტიკული სავარჯიშოების და მაგალითების განხილვით დასრულდა.





ტრენინგების მომდევნო ციკლი 2017 წლის სექტემბერშია დაგეგმილი, რომელიც შეეხება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დასწავლას, კერძოდ: რეაბილიტაციისა და ბიზნეს გეგმის შემუშავებას, ფინანსური ანგარიშებისა და ბუღალტრული აღრიცხვების წარმოებას, მოლაპარაკების სწორად წარმართვასა და ქონების შეფასებას.



◇ სიფას სამუშაო შეხვედრა იურიდიული ფირმების ორგანიზაციული მოწყობისა და ეთიკის სტანდარტების კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად

2017 წლის 5-6 აგვისტოს, ბორჯომში, სასტუმროში - “CROWNE PLAZA Borjomi”, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მხარდაჭერით, იურიდიული ფირმების ასოციაციამ მიმდინარე პროექტის - „ადვოკატის როლის გაძლიერება მართლმსაჯულების სისტემაში“ - ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გამართა.



შეხვედრა იურიდიული ფირმების ორგანიზაციული მოწყობისა და ადვოკატთა ეთიკის სტანდარტების კონცეფციის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. სიფას სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა ეთიკის სტანდარტების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე და შედეგად გაანალიზა საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იურიდიული ფირმებისთვის სავალდებულო ეთიკურ სტანდარტებს. კერძოდ, მსჯელობა გაიმართა ინტერესთა კონფლიქტის რო-





გორც გამომრიცხავ, ასევე, საგამონაკლისო შემთხვევებზე, კონფიდენციალურობის პრინციპის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე, იურიდიული ფირმის იმ თანამშრომელთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის საკითხებზე, რომლებიც დასაქმებულები არიან იურიდიულ ფირმაში და ეწევიან იურიდიულ საქმიანობას, მაგრამ არ აქვთ ადვოკატის სტატუსი, შედეგად მათზე არ ვრცელდება ადვოკატთა ეთიკის კოდექსით განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულებები და შეუძლებელია ამ უკანასკნელის დარღვევისთვის მათი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

სამუშაო ჯგუფმა, ასევე, განიხილა იურიდიული ფირმების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებიც. კერძოდ, ვინ შეიძლება იყოს იურიდიული ფირმის პარტნიორი ან დირექტორი, რა უფლებამოსილებები უნდა გააჩნდეთ მათ და როგორ უნდა მოხდეს მმართველობითი ფუნქციების სწორად გამიჯვნა.

პროექტის დასასრულს სიფას სამუშაო ჯგუფი მოამზადებს დოკუმენტს, რომელიც იურიდიული ფირმების ორგანიზაციულ მოწყობასთან და ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება.



რამდენიმე მოსაზრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფის შესახებ

ლევან კოკაია

სპს „აკაკი ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზის“ იურისტი,
სამართლის მაგისტრი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)
მონვეული ლექტორი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში გაშუქებულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რამდენიმე ინსტიტუტი და ყურადღება გამახვილებულია კანონით რეგულირებულ გარკვეულ პრობლემურ საკითხებზე. კერძოდ, მიმოხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე შეთანხმება, ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში სამართალწარმოების მნიშვნელობა და უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოში ცნობა.

აღნიშნული ინსტიტუტების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ურთიერთშედარებულია და წარმოდგენილია კრიტიკული ანალიზი მათი ლოგიკური განსაზღვრულობის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებს შეეხება. ასევე, შემოთავაზებულია რამდენიმე რეკომენდაცია ცალკეულ ნორმათა უკეთესი ფორმულირებისთვის.

1. შეთანხმებები საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე და სამართალწარმოება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „1. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტური არ არის. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს:

ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით;



ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო”.¹ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით: „შეთანხმებები ამ კანონის მე-10-16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია“.

განსახილველი მუხლის ორი სხვადასხვა ნაწილი შინაარსობრივად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგანაც, ერთი მხრივ, მუხლის პირველი ნაწილი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მხარეები შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სახეზე იყოს შემთხვევა რომ კანონის მე-8 და მე-9 მუხლებთან ერთად, მე-10 მუხლის მიხედვითაც იგი კომპეტენტური არ იყოს. მეორე მხრივ, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ბათილად აცხადებს შეთანხმებას, რომელიც შესაძლოა დადებული ყოფილიყო კანონის მე-10-მე-16 მუხლების გათვალისწინებით. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველია კანონის მე-10 მუხლის მიხედვით „განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის“ შესახებ მხარეთა შეთანხმების ნამდვილობის საკითხი. წარმოდგენილი შინაარსობრივი ურთიერთწინააღმდეგობა პრაქტიკაში შექმნის პრობლემებს, რადგანაც კანონი თან აღიარებს მსგავსი სახის შეთანხმებას ნამდვილად და ამავდროულად ბათილად აცხადებს მას. არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად უმჯობესი იქნებოდა, რომ საბოლოოდ, კანონის მე-10 მუხლთან დაკავშირებით, მხარეთა შორის არსებული შეთანხმების შედეგი ყოფილიყო მისი ბათილობა, რადგანაც კანონის მე-10 მუხლი ისეთი სახის სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება, რომელთა შესახებ წარმოქმნილი დავა მხოლოდ საქართველოს სასამართლოს განხილვის საგანი უნდა გახდეს. კერძოდ, მე-10 მუხლის მიხედვით: „საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება:

- ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;
- ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;
- გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას;
- დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა;

1 „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი იხილეთ სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712>> [16.07.2017].



ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ციტირებული მუხლით გათვალისწინებული თითოეული ურთიერთობა ორგანულად ერწყმის საქართველოს სამართლებრივ სისტემას და ამის შესაბამისად, მხარეთა მიერ მე-10 მუხლის შინაარსის საპირისპიროდ დადებული შეთანხმება კანონით რეგულირებული საერთაშორისო კომპეტენციის „განსაკუთრებულ“ ხასიათს ეჭვის ქვეშ დააყენებს.

აქვე აღსანიშნავია, ციტირებული მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც არ აკონკრეტებს, თუ სად არის რეგისტრირებული იურიდიული პირი. მუხლის მიზანია განსაზღვროს იმ სამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც ექსკლუზიურად საქართველოს სასამართლოს განხილვის საგანი უნდა გახდეს. სამართლებრივ ურთიერთობათა „ექსკლუზიურ“ ბუნებას ის წარმოადგენს, რომ ურთიერთობა, მისი შინაარსიდან გამომდინარე ორგანულად მხოლოდ საქართველოს სამართლებრივი სისტემის დაცვის ქვეშ უნდა იყოს მოქცეული. ამ ლოგიკის შესაბამისად, კანონმდებელი განსახილველი „გ“ ქვეპუნქტის ქვეშ გულისხმობს მხოლოდ საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციას. იმისათვის, რომ მხარეთათვის და, ასევე, სასამართლოსთვის აღმოიფხვრას სუბიექტური მსჯელობის საფუძვლები, მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ „გ“ ქვეპუნქტი უფრო კონკრეტული შინაარსის მომცველი გახდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გ) იურიდიული პირების საქართველოში რეგისტრაციას“.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად: „1. თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს სამართალწარმოებასაქართველოსადაუცხოქვეყანაშიდაესსარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.“

2. საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს საქართველოში.“

მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა ციტირებული მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება. კანონი არ განსაზღვრავს შემთხვევას/შემთხვევებს, თუ რა დროს შეიძლება არსებობდეს იმისი



შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ამ ნორმის მსგავსი რედაქციით შენარჩუნება ყოველთვის გააჩენს კითხვებს სასამართლოს სუბიექტური მსჯელობის შესახებ, რადგანაც ამა თუ იმ მოვლენის „შესაძლებლობის“ განსაზღვრა მხოლოდ ალბათობის დონეზე განიხილება. ეს კი საკითხის სუბიექტური მსჯელობის შედეგია. ასევე, პასუხგაუცემელია კითხვა იმის შესახებ, თუ საიდან უნდა განსაზღვროს სასამართლომ, ასევე, „შესაძლო“ შემთხვევა, რომ უცხო ქვეყნის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება საქართველოში. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო“. აქედან გამომდინარე, შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ საქმის განმხილველი რაიონული-საქალაქო სასამართლოსთვის მხოლოდ ალბათობის დონეზე იმის განსაზღვრა, რომ შესაძლოა გადაწყვეტილების ცნობა საქართველოში არ მოხდეს აკნინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ციტირებულ ფუნქციას, რომ მხოლოდ მისი კომპეტენციის საგანია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა საქართველოში ცნობა. ამასთან, ალბათობის დონეზე საკითხის მსგავსი წესით განსაზღვრამ შესაძლოა დიდი უხერხულობა გამოიწვიოს საქმის წარმოების განხილვისას, რადგანაც, ასევე, დიდია იმისი ალბათობა, რომ შესაძლოა მოხდეს უცხო ქვეყანაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოში ცნობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მსგავსი ფორმულირებით შენარჩუნება შეიცავს სასამართლოს მიერ საკითხის სუბიექტურად გადაწყვეტის დიდ საფრთხეს. ამიტომ, სანაცვლოდ უმჯობესი იქნებოდა, რომ სადავო ჩანაწერი საერთოდ ამოღებული იყოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტიდან.

საქართველოში სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის მაღალი ალბათობა და საკითხის სუბიექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობა, ასევე, გათვალისწინებულია ციტირებული მე-19 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვითაც. კერძოდ, ალბათობის, ასევე, მაღალი ხარისხით გამორიცხული არ არის, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა შესაძლოა არ მოხდეს საქართველოში, რაც საქმის განმხილველი სასამართლოსთვის უცნობია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ საკითხს, როგორც ზემოთ აღნიშნა მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს.

ალბათობის „მაღალი“ ან „დაბალი“ ხარისხით არ შეიძლება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. საჭიროა გან-



სახილველმა კანონმა ან განსაზღვროს კონკრეტული ობიექტური კრიტერიუმები, თუ რაზე დაყრდნობით შეიძლება მოსამართლე/სასამართლო მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილების ცნობა ან არცნობა მოხდება ან არ მოხდება საქართველოში, ან მსგავსად მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებისა, ამ მუხლის მეორე პუნქტიც ამოღებული უნდა იყოს კანონიდან.

2. უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის შესახებ საკითხი

საყურადღებოა კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით: „გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ: ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს“.

ასევე, საინტერესოა ამავე მუხლის მე-3 ნაწილი: „ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, თუ იგი ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა“.

ციტირებული „ე“ ქვეპუნქტი თავისი შინაარსობრივი დატვირთვით შესაძლოა ტოვებდეს საკითხის სუბიექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობას, ვინაიდან ნორმა არ აკონკრეტებს, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეიძლება მივიდეს საქართველოს უზენაესი სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ „უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს“. პასუხგაუცემელია საკითხი პოტენციური კრიტერიუმების შესახებ, როგორიც არის, მაგალითად, გადაწყვეტილების არცნობა „სისტემატიურად“ ან/და „როგორც წესი“, საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცნობის შესახებ საკითხის განხილვისას არსებული სტატისტიკური მონაცემების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლით ან რაიმე სხვა სახის კრიტერიუმებით. განსახილველი „ე“ ქვეპუნქტის მოქმედება გარკვეულწილად საგამონაკლისო პირობების არსებობისას წყვეტს მოქმედებას, თუ გადაწყვეტილება „ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა“. კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით პრობლემის მსგავსი ფორმით გადაწყვეტა, ასევე, კითხვის ნიშნებს ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბედი შეიძლება ეწიოს არაქონებრივი უფლებების შესახებ არსებულ



გადაწყვეტილებათა ცნობის საკანონმდებლო კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ საკითხს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის გადაწყვეტილების ადგილობრივი კანონმდებლობით განსჯადობის საკითხი და, ამავდროულად, „უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს,“ მაშინ ზემოაღნიშნულ შემთხვევათა მსგავსად, პასუხგაუცემელი რჩება საკითხი, თუ რა ტიპის/შინაარსის გადაწყვეტილება შეიძლება მოიაზრებოდეს, რომელთა განსჯადობა საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. თუკი საქართველოს კანონმდებლობა გადაწყვეტილებათა შინაარსის ადგილობრივი განსჯადობით არ შემოიფარგლება, მაშინ შესაძლოა საკითხი ისევ დადგეს, რომ გადაწყვეტილების შინაარსი საერთოდ სცილდებოდეს საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობის გენერალურ მიზანს.

აქვე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესახებ. კერძოდ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც: „...საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ორ სიტუაციას მოიცავს: ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ, ბ) უცხო ქვეყანა, გარკვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.“²

საყურადღებოა კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. კერძოდ, „გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ: ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი“. ამასთან მნიშვნელოვანია ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსიც: „თუ სამართალწარმოება მიმდინარეობს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის გადაწყ-

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის №ა-2046-შ-57-2010 განჩინება.



ვეტილების ცნობა შესაძლებელია საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ“.

განსახილველი კანონით რეგულირებულ რამდენიმე ნორმას შორის არსებული შინაარსობრივი ურთიერთწინააღმდეგობის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც იგივე პრობლემასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, თუ 68-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში საქმის განხილვის დამთავრება, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის საფუძველი შეიძლება გახდეს, მაშინ წარმოიქმნება შემდეგი კითხვა: თუ უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი განსხვავდება საქართველოში უკვე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების იმ შინაარსისგან, რომელიც შესაძლოა უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის უფლებას მიანიჭებდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მაშინ საბოლოოდ რომელი გადაწყვეტილება იქნებოდა რელევანტური მხარეებისათვის? „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა და ნორმათა მსგავსი ფორმატით შენარჩუნებამ, ასევე, შესაძლოა, რომ საკითხის სუბიექტურად გადაწყვეტის საშუალება დაუტოვოს სასამართლოს, რაც სცილდება მართლმსაჯულების განხორციელების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

განხილული პრობლემის გადასაწყვეტად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ 68-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებული იყოს კანონიდან. აღნიშნული რეკომენდაციის მსგავსი სახით ჩამოყალიბების მიზეზია შემდეგი: თუკი საქართველოში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ამავედროულად უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის სამართლებრივი პირობა შეიძლება შექმნას, მაშინ მაღალია იმის შესაძლებლობა, რომ ამ გადაწყვეტილებათა შინაარსი მხარეებისათვის იყოს აბსოლუტურად განსხვავებული და საკითხის არსებული შინაარსით რეგულირება აზრს დაუკარგავს სამოქალაქო სამართალწარმოების წარმართვის გამოორიცხვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პირობას: ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საკითხზე ერთსა და იმავე საფუძველით სამართალწარმოების წარმართვის დაუშვებლობას.

განსახილველი კანონის მე-19 მუხლი (რომლის შესახებ ნახსენებია წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში) შინაარსობრივად ერწყმის კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტს, რაც კანონის თემატური მოწესრიგებულობის მიზნისთვის, მათი გაერთიანების შემთხვევაში უკეთეს შედეგს გამოიღებდა. აღნიშნული რეკომენდაცია გაამართლებდა იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იყოს, როგორც კანონის მე-



19 მუხლის ფორმულირება ჩემს მიერ ზემოაღნიშნული რედაქციის გაზიარების შედეგად, ასევე 68-ე მუხლის მე-4 პუნქტის კანონიდან ამოღების შემთხვევაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის გამომრიცხავ გარემოებებს, ასევე, ითვალისწინებს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაც, რომელიც საქართველოსთვის ძალაშია 1996 წლის 11 ივლისიდან.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხარის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დააკმაყოფილა³ ხსენებული კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე. კერძოდ, ამ ნორმის მიხედვით: „გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ან მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას“.⁴

3 უფრო ვრცლად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები, #3, 2012, 17-18. იხ. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201203.pdf>> [16.07.2017].

4 „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენცია. იხ. <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fapubdocs%2F04Minski_1993-1.pdf> [16.07.2017].



დასკვნა

დასკვნის სახით აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი კანონი, აღნიშნულ დარგში არსებული სხვადასხვა გავლენიანი დოქტრინის გაზიარების შედეგად არის შემუშავებული, სამწუხაროდ მასში, მოიპოვება რამდენიმე შინაარსობრივი ურთიერთწინააღმდეგობა, რომელიც დააბნევს როგორც მხარეებს, ასევე, სასამართლოს. როგორც წესი, მსგავსი შემთხვევები ნეგატიურად აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე. საკითხი უფრო აქტუალური ხდება მაშინაც, როდესაც საუბარია სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებაზე, რომელიც უცხოური ელემენტით არის დატვირთული. კერძოდ, სხვადასხვა კერძოსამართლებრივი დავის პარალელურად, ნაშრომში გაშუქებული ნორმების გამოყენება აქტიურად ხდება საინვესტიციო დავების გადაწყვეტის დროსაც. ეს ფაქტორი კიდევ უფრო მეტად ხაზს უსვამს იმ სამართლებრივი ნორმების დახვეწის საჭიროებას, რომლებიც შინაარსობრივად ორაზროვანნი არიან ან/და ტოვებენ საკითხის სუბიექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

კანონის დახვეწის ზემოაღნიშნულ მოტივებს, ასევე, ემატება ის გარემოება, რომ საქართველოში, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყანა, რომელიც აღიარებს ე.წ. „პოზიტიურ“, „დაწერილ“ სამართალს, უმჯობესი იქნებოდა, რომ განხილულ ნორმათა შინაარსობრივი ურთიერთწინააღმდეგობა და, ასევე, საკითხთა არასათანადოდ რეგულირება ნორმათა რეალიზაციისას არ იქცეს განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანი, რომელსაც არაერთგვაროვანი შედეგები მოჰყვება. ამიტომ მივიჩნევ მიზანშეწონილად, რომ უმჯობესია საკითხი კანონით უფრო მეტად დეტალიზებურად იყოს მოწესრიგებული, ვიდრე დარეგულირდეს ზოგადი ფორმულირებით და დატოვოს იმის შესაძლებლობა, რომ ნორმათა ირგვლივ ჩამოყალიბდეს არაერთგვაროვანი მიდგომები.



გადაზღვევის ინსტიტუტის არსი დაზღვევის სამართალში

ქეთი ბენაშვილი

კს „კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ იურისტი, სამართლის
ბაკალავრი (თსუ)

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში დაზღვევის ინსტიტუტს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დაზღვევა მოქალაქის ან იურიდიული პირისათვის სხვადასხვა მავნე ფაქტორის შემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს.¹ შესაბამისად, თანამედროვე ინდუსტრიალიზმის განვითარების კვალდაკვალ დაზღვევის როლი საწარმოებისა და ადამიანებისთვის არსებული ფინანსური რისკის სფეროში მეტად იზრდება. დაზღვევის მიზანია დაზღვევის მიერ გადახდილი პრემიებით ფორმირებული სადაზღვევო ფონდების ხარჯზე მის მიმართ შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.² დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას, რომელიც ავალდებულებს მზღვეველს აუნაზღაუროს დაზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამასთან, დაზღვევს ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი - პრემია.³ ამ სახის ხელშეკრულებას პირი სადაზღვევო კომპანიასთან აფორმებს ბუნების დამანგრეველი ძალების ან სხვა მავნე ფაქტორებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.⁴ დაზღვევა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო მზღვეველის საქმიანობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ რისკის დაზღვევის ფუნქცია დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია და იგი საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული.

საქართველოში დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება მოცემულია, როგორც სამოქალაქო კოდექსში, ისე „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონის მიხედვით,

1 ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 5.

2 ქეცაია ე., დაზღვევის სამართალურ თეორიის სუბიექტები და ობიექტი, მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2014, 84.

3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი.

4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 106.



დაზღვევა არის ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით ფორმირებული ფულადი ფონდებისა და სხვა წყაროების ხარჯზე, სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას.⁵ აგრეთვე, ამ კანონის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობად მიიჩნევა მზღვევლის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.⁶ ამ დანაწესით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ დაზღვევის ხელშეკრულებასთან ერთად კანონმდებელი მიუთითებს გადაზღვევის ხელშეკრულებაზე. წინამდებარე სტატიის მიზანია განისაზღვროს გადაზღვევის ხელშეკრულების არსი და მისი მნიშვნელობა დაზღვევის სამართალში, აგრეთვე, სტატიაში მოცემული იქნება გადაზღვევის ინსტიტუტის განვითარების მოკლე ისტორია, გადაზღვევის ცნების მოწესრიგება ქართულ კანონმდებლობაში, გადაზღვევის სახეები და მისი ფუნქციები. აგრეთვე, განვიხილავთ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ განმარტებებს ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით.

1. გადაზღვევის ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა

დღევანდელ რეალობაში მზღვეველი კომპანია ხშირ შემთხვევაში მსხვილ რისკებს იღებს, რათა თავი დაიცვას გაკოტრებისგან, აგრეთვე, ხშირად ამ კომპანიას არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი შეთავაზებული რისკის ასაღებად. სწორედ მზღვეველი კომპანიის ფინანსური რისკების უზრუნველყოფისთვის გამოიყენება გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც ერთგვარ მაგარანტირებელ როლს ასრულებს მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფისთვის. გადაზღვევა, როგორც თავად ტერმინი განსაზღვრავს, არის თავად მზღვეველის დაზღვევა.⁷ იგი წარმოადგენს პირდაპირი ხაზის ფინანსურ ტრანზაქციას, რომლითაც მზღვეველ კომპანიას უნაზღაურდება სხვა მზღვეველის მხრიდან მთლიანი ან ნაწილობრივი რისკი.⁸ გადაზღვევა არის მზღვეველი კომპანიების ერთგვარი დაზღვევის ფორმა.⁹

გადაზღვევის ოპერაცია არის სახელშეკრულებო შეთანხმება გადამზღვეველსა და პროფესიონალ მზღვეველს შორის. მზღვეველს

5 დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

6 იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

7 Vaughan E., Vaughan T., Fundamentals of Risk and Insurance, 10th Edition, Hoboken, 2008 , 155.

8 Abramovski A., Reinsurance: The Silent Regulator, Connecticut Insurance Law Journal, Volume 15, Issue 2, 2008-2009, 350.

9 JERRY, supra note 9, § 140(a), at 1015. მიითითებულია: Abramovski A., Reinsurance: The Silent Regulator, Connecticut Insurance Law Journal, Volume 15, Issue 2, 2008-2009, 350.



ხშირად ცედანტსაც უწოდებენ და პოლისის მფლობელის წინაშე სწორედ მზღვეველი აგებს პასუხს.¹⁰

მნიშვნელოვანია, რომ გადაზღვევაში მონაწილეობს მინიმუმ ორი მზღვეველი კომპანია. თავდაპირველი - „ორიგინალური“ მზღვეველი, რომელიც იღებს რისკს ან პასუხისმგებლობს, მას შემდეგ, რაც დადებს შეთანხმებას სხვა მზღვეველ კომპანიასთან გადაზღვევის შესახებ, ითვლება გადამზღვევად.¹¹ გადაზღვევა თავისი არსით, არის მეორადი დაზღვევის ხელშეკრულება.¹² ამასთან, გადაზღვევას ხშირად უწოდებენ ხელშეკრულებას, რომლითაც მზღვეველი მოიწვევს მესამე პირს, იმისათვის, რომ მოხდეს მისი დაზღვევა დანაკარგებისა და ორიგინალური/თავდაპირველი დაზღვევის პასუხისმგებლობისგან.¹³

აგრეთვე, შესაძლებელია თავად გადამზღვეველმა სხვა კომპანიასთან განახორციელოს გადაზღვევა, აღნიშნულ ხელშეკრულებას უკვე რეტროცესია ეწოდება, რომლითაც გადამზღვეველი - რეტროცედენტი გადამზღვეველს - რეტროცესიონერს გადასცემს მის მიერ გადაზღვევით მიღებულ რისკს ან მის ნაწილს.¹⁴

გადაზღვევის ხელშეკრულება თავისი ძირითადი მახასიათებლებით არ განსხვავდება პირველადი დაზღვევის ხელშეკრულებისგან.¹⁵ გადაზღვევის საგანია მზღვეველის რისკი, პირველადი დაზღვევის საგანი არის ქონება, სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.¹⁶ გადაზღვევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მზღვეველი სხვა სადაზღვევო კომპანიას გადასცემს დამზღვევის წინაშე თავისი ვალდებულებების ნაწილს გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე.¹⁷

ძირითადად, გადაზღვევის ხელშეკრულება გამოიყენება იმ კომპანიის მიერ, რომელიც თავისი ფინანსური მდგომარეობის გამო ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამზღვევისათვის სადაზღვევო საზღაურის გაცემას.¹⁸

10 Deelstra G., Plantin G., Risk Theory and Reinsurance, London, 2014, 45.

11 Abramovski A., Reinsurance: The Silent Regulator, Connecticut Insurance Law Journal, Volume 15, Issue 2, 2008-2009, 351.

12 იქვე, 352.

13 იქვე.

14 დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

15 Vance W. R., Contract of Reinsurance, Virginia Law Register, Volume 7, Issue 10, 1902, 669.

16 იქვე.

17 ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 19

18 იქვე.



მნიშვნელოვანია ისიც, რომ გადაზღვრების ხელშეკრულება დაზღვევის პოლისისგან დამოუკიდებლად არსებობს და ხშირად დამზღვევმა არც კი იცის მისი არსებობის შესახებ.¹⁹ გადაზღვრების ოპერაცია არის სახელშეკრულებო შეთანხმება გადამზღვეველსა და პროფესიონალ მზღვეველს (ცედანტი) შორის, რომელიც პოლისის მფლობელის მიმართ სრულად პასუხისმგებელია.²⁰

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადაზღვრების ფარგლებში ხდება თავდაპირველი დაზღვევის სფეროში წარმოშობილი რისკების დაფარვა, რადგან გადამზღვეველი ფარავს თავდაპირველი მზღვეველის რისკს, თუმცა არა პირველადი დაზღვევისგან წარმოშობილი ვალდებულების გამო, არამედ გადაზღვრების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოვალეობის შესაბამისად.²¹

2. გადაზღვრების ინსტიტუტის განვითარება

გადაზღვრების ხელშეკრულებების ისტორია ადრეული დროიდან იწყება. გადაზღვრების ინსტიტუტის განვითარება უკავშირდება იტალიაში საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას მე-14 საუკუნეში. პირველად ლიტერატურაში მითითებულ იქნა საზღვაო გადაზღვრების შესახებ 1370 წელს, როდესაც თავდაპირველმა მზღვეველმა, რომელიც იღებდა პოლისს გენუადან სლესემდე (ქალაქი ჩრდილოეთ საფრანგეთში) ვოიაჟისთვის, მოახდინა იმ რისკის გადაზღვრა, რომელსაც იგი ყველაზე მეტად სახიფათოდ მიიჩნევდა. ეს რისკი ეხებოდა კადისიდან სლესემდე გზას, ასევე, მზღვეველმა თავისთვის დაიტოვა ნაკლებად სახიფათო რისკი, ხმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობის დროს.²²

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ამსტერდამი და ლონდონი გახდა მნიშვნელოვანი ქალაქები გადაზღვრების პრაქტიკული გამოყენების კუთხით. გერმანიაში პირველად მე-19 საუკუნეში კიოლნში შეიქმნა კიოლნის გადაზღვრების საზოგადოება, სადაც პროფესიონალურ გადაზღვრებას აწარმოებდნენ. ამის შემდეგ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში იწყება გადაზღვრების საზოგადოებების ჩამოყალიბება, მაგალითად, ფრანკფურტის და მიუნხენის გადაზღვრების საზოგადოებები.

19 Schack D., Reinsurance and Insurer Insolvency: The Problem of Direct Recovery by the Original Insured or Injured Claimant [comments] , UCLA Law Review, Volume 29, Issue 4, 1982, 873.

20 Deelstra G., Plantin G., Risk Theory and Reinsurance, London, 2014, 45.

21 Ehling J., Die Versicherung und Rückversicherung von Pharnarisiken in nationaler und internationaler Beziehung, Karlsruhe, 2011, 356.

22 Austin C. H., Reinsurance: What it is and how it can serve your client, Insurance Law Journal, Volume 12, 1952, 808.



1745 წელს ინგლისში აიკრძალა გადაზღვრვა, რადგან იგი აზარტული თამაშების საგნად იქცა. მე-19 საუკუნის განმავლობაში საზღვაო და სახანძრო გადაზღვრვა, რომლებიც ეფუძნებოდა როგორც ფაკულტატურ, ისე სახელშეკრულებო საწყისებს, მეტად გავრცელდა. აგრეთვე, შეერთებულ შტატებშიც განვითარდა გადაზღვრვა, იმავე გზით, როგორც ეს ევროპაში მოხდა, თუმცა ოდნავ მოგვიანებით.²³

3. გადაზღვრვის ცნება ქართულ კანონმდებლობაში

დაზღვრვის სამართალი საქართველოში რეგულირდება როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ისე „დაზღვრვის შესახებ“ საქართველოს კანონით. რაც შეეხება გადაზღვრვის ინსტიტუტს, მის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, დათქმას ვხვდებით, სამოქალაქო კოდექსის 801-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, გადაზღვრვასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

„დაზღვრვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სადაზღვრვო საქმიანობად მიიჩნევა მზღვევლის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვრვისა და გადაზღვრვის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.²⁴ ამავე კანონის მიხედვით, გადაზღვრვას წარმოადგენს ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვრვის ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სადაზღვრვო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის.²⁵ შესაბამისად, კანონის ამ დანაწესის მიხედვით, გადაზღვრვის ხელშეკრულების მხარეები არიან მზღვეველი და გადამზღვეველი კომპანია. მზღვეველი გადაზღვრვის ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს დაზღვრვის თავდაპირველი ხელშეკრულების სადაზღვრვო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის. ხოლო გადაზღვრვის ხელშეკრულების ობიექტად გვევლინება გადამზღვევის ქონებრივი ინტერესი, რომელიც, ძირითადად, დაკავშირებულია სადაზღვრვო ანაზღაურების შესრულებასთან. გადაზღვრვის ხელშეკრულების ძირითად ობიექტს წარმოადგენს რისკი, რომელსაც თავის თავზე იღებს მზღვეველი - შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზეა ორიგინალური რისკი.²⁶ აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ გადაზღვრვის სისტემის არსებობა წარმოადგენს მზღვეველის

²³ იქვე.

²⁴ „დაზღვრვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

²⁵ იქვე, მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი.

²⁶ ქეცბაია ე., დაზღვრვის სამართალურ თიერთობის სუბიექტები და ობიექტი, მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2014, 92.



ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საფუძველს, რადგან ამ ხელშეკრულებით მზღვეველი ახდენს რისკის დაზარალების გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის.

გადაზღვევის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მზღვეველისა და გადამზღვეველის უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე, მხარეების მიერ დადგენილ უნდა იქნეს დაზღვევის ხელშეკრულებით შეთანხმებული პრემიის რა ნაწილი/რა პროცენტული ოდენობა უნდა გადაუხადოს მზღვეველმა გადამზღვეველს, ასევე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში გასაცემი სადაზღვევო საზღაურიდან რა ნაწილი უნდა გადაიხადოს მზღვეველმა და გადამზღვეველმა.²⁷

მნიშვნელოვანია, რომ გადაზღვევის ხელშეკრულება არ ათავისუფლებს მზღვეველს დამზღვევის წინაშე ვალდებულების შესრულებისგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს, აღნიშნული დათქმა გამომდინარეობს ამ ინსტიტუტის საკანონმდებლო მოწესრიგებიდან, რომლის თანახმადაც, გადაზღვევის ხელშეკრულების მიუხედავად, მზღვეველი პასუხისმგებელია დამზღვევის წინაშე დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი ვალდებულებების ფარგლებში.²⁸ აქედან გამომდინარე, დამზღვევისა და მზღვეველის ურთიერთობაზე სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, გადაზღვევის ხელშეკრულება გავლენას ვერ მოახდენს, ურთიერთობა დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს შორის გადაზღვევის ხელშეკრულების დადებით არ იცვლება. გადაზღვევის ხელშეკრულება მაგარანტირებელ როლს ასრულებს მზღვეველი კომპანიისთვის, იმისათვის რომ იგი არ დადგეს დიდი ფინანსური რისკების წინაშე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში. ამასთან, გადაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველს შეეძლება თავი დაიცვას გაკოტრებისგან მსხვილი რისკის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გადამზღვეველი შეიძლება იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგულირებული კომპანია. გადამზღვეველ კომპანიაზე კი გაიცემა სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია, რომელიც მას ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელოს გადაზღვევა. საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გადაზღვევის ხელშეკრულება უცხოეთის ერთ ან რამდენიმე გადამზღვეველთან უშუალოდ.²⁹

27 ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 19.

28 „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

29 იქვე, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.



4. გადაზღვევის სახეები

დოქტრინაში გადაზღვევის სახეებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით. თუმცა, მიუხედავად მოსაზრებების არაერთგვაროვნებისა, შეგვიძლია გამოვყოთ გადაზღვევის ხელშეკრულების ძირითადი სახეები. გადაზღვევის ხელშეკრულება ძირითადად იყოფა ფაქულტატურ და სავალდებულო გადაზღვევად.³⁰ გადაზღვევის ყველაზე დისკრეტული/განცალკევებული ფორმაა ფაქულტატური გადაზღვევა და, ძირითადად, იგი მიიჩნევა გადაზღვევის ორიგინალურ ფორმად.³¹

ფაქულტატური გადაზღვევა წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც ფარავს ერთადერთ რისკს, სავალდებულო გადაზღვევის დროს კი ერთი შეთანხმებით რამდენიმე სახეობის რისკის დაზღვევა ხდება.³² ფაქულტატური გადაზღვევა არის არასავალდებულო, ინდივიდუალური შემთხვევების მეთოდი, რომელიც გამოიყენება მაშინ, როდესაც მზღვეველი კომპანია იღებს დაზღვევის აპლიკაციას, რომელიც მის ფინანსურ რესურსებს აღემატება. მანამ, სანამ პოლისი გაიცემა, თავდაპირველი მზღვეველი უკავშირდება გადამზღვეველ კომპანიებს. რა თქმა უნდა, მას ამის ვალდებულება არ აკისრია, და, აგრეთვე, გადამზღვეველსაც არ აქვს აღნიშნული მოვალეობა. მაგრამ, თუ მოიძებნა მსურველი გადამზღვეველი, თავდაპირველი მზღვეველი და გადამზღვეველი დებენ ხელშეკრულებას.³³ ძირითადად, ფაქულტატური გადაზღვევა გამოიყენება მაშინ, როცა მოთხოვნილია დიდი ოდენობის დაზღვევა. სანამ მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თავდაპირველი მზღვეველი განსაზღვრავს, შესაძლებელია თუ არა გადაზღვევის უზრუნველყოფა. თუ აღნიშნული შესაძლებელია, ამ შემთხვევაში გაიცემა პოლისი. ფაქულტატურ გადაზღვევას აქვს მოქნილობის უპირატესობა, რადგან გადაზღვევის ხელშეკრულება ყველა შემთხვევას, ყველა სიტუაციას ერგება. მისი საშუალებით შესაძლებელია გაიზარდოს მზღვეველის მხრიდან დიდი ოდენობის დაზღვევის შეთავაზების სფერო. გადაზღვევა ახდენს მზღვეველის ოპერაციების სტაბილიზაციას, დიდი დანაკარგების გადამზღვეველისთვის გადაცემით. თუმცა მთავარი უარყოფითი მხარე ფაქულტატური გადაზღვევისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არასტაბილურია. მზღვეველმა კომპანიამ არ იცის, დათანხმდება თუ

30 Austin C. H., Reinsurance: What it is and how it can serve your client, Insurance Law Journal, Volume 12, 1952, 807.

31 Abramovski A., Reinsurance: The Silent Regulator, Connecticut Insurance Law Journal, Volume 15, Issue 2, 2008-2009, 357.

32 Merkin R., The Rome I Regulation and Reinsurance, Journal of Private International Law, Volume 5, Issue 1, 2009, 69.

33 Liebwein P., Klassische und moderne Formen der Rückversicherung, Karlsruhe, 2000, 95



არა გადამზღვეველი დაზღვევის ნაწილის განხორციელებას. ასევე, უარყოფითად მეტყველებს ისიც, რომ დროის თვალსაზრისით იგი მაინცდამაინც სწრაფ ვადებში არ ხორციელდება, იმის გამო, რომ პოლისის გამოცემა დამოკიდებულია გადამზღვევის განხორციელებასთან.³⁴

სავალდებულო-ობლიგატორული გადამზღვევა გულისხმობს, თავდაპირველი მზღვეველის მიერ ძირითადი შეთანხმების არსებობის დროს, რისკების გადამზღვეველი კომპანიისთვის ავტომატურ გადაცემას. ხოლო ფაკულტატური, ანუ სახელშეკრულებო გადამზღვევის დროს, მზღვეველს შეუძლია თითოეული შემთხვევის გათვალისწინებით გადაწყვიტოს, ისარგებლოს თუ არა გადამზღვევით.³⁵ სავალდებულო გადამზღვევა გულისხმობს, რომ თავდაპირველი მზღვეველი თანახმაა, გადასცეს დაზღვევა გადამზღვეველს და გადამზღვეველი თანახმაა, რომ ჩაერთოს საქმეში. მთლიანი ბიზნესი, რომელიც შეთანხმების ფარგლებში მარცხს განიცდის, ავტომატურად იქნება გადამზღვეული ხელშეკრულების პირობების თანახმად. სახელშეკრულებო გადამზღვევას აქვს პირველადი მზღვეველისთვის რამდენიმე უპირატესობა. იგი არის ავტომატური, და მასში არ ვხვდებით არასტაბილურობას ან დაყოვნებას. იგი არის ეკონომიური, რადგან საჭირო არაა გადამზღვევის ძიება პოლისის გაცემამდე. თუმცა გადამზღვეველისთვის, სახელშეკრულებო გადამზღვევა შესაძლოა იყოს არამომგებიანი, რადგან ძირითადად გადამზღვეველს არ აქვს ინდივიდუალური აპლიკანტის შესახებ ინფორმაცია და იგი ეყრდნობა თავდაპირველი მზღვეველის გადაწყვეტილებას, რომელიც მზღვეველმა შესაძლებელია მიიღოს არაკეთილსინდისიერ მოტივებზე დაყრდნობით. აგრეთვე, გადამზღვეველის მხრიდან მიღებული პრემია შესაძლებელია იყოს არაადეკვატური. რადგან, თუ თავდაპირველმა მზღვეველმა სათანადოდ ვერ შეაჩინა და ვერ შეაფასა რისკი, გადამზღვეველმა შესაძლოა განიცადოს დანაკარგი.³⁶

აგრეთვე, გამოყოფენ პროპორციულ და არაპროპორციულ გადამზღვევასაც, პროპორციული გადამზღვევის დროს გადამზღვევი და გადამზღვეველი პასუხისმგებლობასაც და პრემიასაც მათი წილების პროპორციულად ინაწილებენ, ხოლო არაპროპორციული გადამზღვევის დროს, წინასწარ არ არის ცნობილი, თუ ბარალის რა ნაწილს აანაზღაურებს გადამზღვეველი. ამ შემთხვევაში თითოეული მხარის წილობრივი მონაწილეობა ბარალში განისაზღვრება ფაქტობრივად დამდგარი ბარალის სიდიდის მი-

34 Rejda G., Principles of Risk Management and Insurance, Boston, 2008, 118.

35 Zweifel P., Eisen R., Insurance Economics, Berlin, 2012, 186.

36 Rejda G., Principles of Risk Management and Insurance, Boston, 2008, 118.



ხედვით. აქედან გამომდინარე, გადაზღვრის ხელშეკრულების დადების მომენტში შეუძლებელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ ბარალის რა წილს აანაზღაურებს გადამზღვრველი და პრემიის განაწილებაც, პროპორციული გადაზღვრისგან განსხვავებით, არ არის პასუხისმგებლობის განაწილების იდენტური.³⁷ ფაკულტატური შეთანხმებების უმრავლესობა არის პროპორციული, რადგან გადაზღვრის ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან გადაზღვრულის პასუხისმგებლობის მხოლოდ ნაწილზე, ხოლო სავალდებულო გადაზღვრვა შესაძლებელია იყოს, როგორც პროპორციული, ისე არაპროპორციული.³⁸

სხვაგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ, ავტომატურ და ფაკულტატურ გადაზღვრვასაც.³⁹

5. გადაზღვრის ფუნქციები

გადაზღვრის ძირითადი ფუნქციებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ, რისკის ტრანსფერი, დამზღვრვის უზრუნველყოფა⁴⁰, გარანტიის სფეროს გაზრდა, მოგების სტაბილიზაცია, კატასტროფული და-ნაკარგისგან დაცვის უზრუნველყოფა.⁴¹

გადაზღვრვა გამოიყენება რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

რისკის ტრანსფერი - ეს ფუნქცია მზღვრველს შესაძლებლობას აძლევს დაზღვრის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი რისკი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს გადამზღვრველ კომპანიას.

გარანტიის სფეროს გაზრდა - აღნიშნული გულისხმობს გადაზღვრის ფუნქციას, რომ გაზარდოს მზღვრველი კომპანიის გარანტიის სფერო ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის. კომპანიას შესაძლოა მოუხდეს დანაკარგებზე პასუხისმგებლობის აღება, რომელთა ღირებულებაც მის ფინანსურ რესურსებს აღემატება. გადაზღვრის გარეშე, მზღვრველს შესაძლოა მოუხდეს დიდი ოდენობით დაზღვრის რამდენიმე კომპანიასთან განთავსება ან რისკზე უარის თქმა. ეს არც ისე სახარბიელო იქნება და პოლისის მფლობელისთვის ცუდი შედეგები შეიძლება წარმოშვას.⁴²

37 <<http://hepoin.com/index.php/component/k2/item/52-reinsurance>> [15.06.2016].

38 Merkin R., The Rome I Regulation and Reinsurance, Journal of Private International Law, Volume 5, Issue 1, 2009, 69.

39 Vaughan E., Vaughan T., Fundamentals of Risk and Insurance, Hoboken, 2008, 155.

40 Zweifel P., Eisen R., Insurance Economics, Berlin, 2012, 184.

41 Rejda G., Principles of Risk Management and Insurance, Boston, 2008, 116.

42 Zweifel P., Eisen R., Insurance Economics, Berlin, 2012, 184.



მოგების სტაბილიზაცია - გადამღვევა გამოიყენება მოგების სტაბილიზაციისთვის, რაადგან მზღვეველს შესაძლოა სურდეს ფინანსური არამდგრადობისთვის თავის არიდება. დანაკარგების გამოცდილება ცვალებადია სოციალური, ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების გამო, ბუნებრივი კატასტროფების თუ შემთხვევითობის გამო.

კატასტროფული დანაკარგისგან დაცვის უზრუნველყოფა - გადამღვევა, ასევე, უზრუნველყოფს ფინანსურ დაცვას კატასტროფული დანაკარგებისგან. მზღვეველები ხშირად განიცდიან კატასტროფულ დანაკარგებს ბუნებრივი კატასტროფების, ინდუსტრიული აფეთქებების, კომერციული მარცხის და ამგვარი მოვლენების გამო. გადამღვეველი იხდის იმ დანაკარგების ნაწილს, რომელმაც გადააჭარბა მზღვეველი კომპანიის ფინანსური რესურსების მაქსიმალურ ლიმიტს.⁴³

გადამღვევის მნიშვნელობისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, როდესაც დაზღვეულმა დანაკარგებმა დაახლოებით 36 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა გადამღვეველებმა გადაიხადეს დანაკარგების თითქმის ორი მესამედი. ამის შემდეგ კონგრესმა დამატებით აამოქმედა ტერორიზმის რისკის დაზღვევის აქტი 2002 წელს, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრების ფედერალურ გადამღვევას და უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვევებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში თუ მომავალში ტერორიზმის შედეგად წარმოშობილი დანაკარგი გადააჭარბებს გარკვეულ ზღვარს. აგრეთვე, ქარიშხალ კატრინას დროს, 2005 წელს, რომელიც ითვლება უდიდეს კატასტროფად შეერთებული შტატების ისტორიაში, დაზღვეული საკუთრების დანაკარგმა შეადგინა 40 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, თუმცა გადამღვეველები თანხმობას აცხადებენ დანაკარგის ნახევარის ანაზღაურებაზე, რაც საგრძნობლად შემცირებს პირველადი დაზღვევების მიერ განცდილ დანაკარგებს.⁴⁴

6. გადამღვევის ინსტიტუტთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში არსებული განმარტებები

გადამღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებით მდიდარია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა. სწორედ შეერთებული შტატების სასამართლოს პრაქტიკაში მოიპოვება მნიშვნელოვანი განმარტებები გადამღვევის ინს-

43 Rejda G., Principles of Risk Management and Insurance, Boston, 2008, 116.

44 იქვე, 117.



ტიტუტთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში განვიხილავთ, რამდენიმე მნიშვნელოვან განმარტებას, რომლებიც უკავშირდება გადაზღვრებასთან დაკავშირებულ საქმეებს.

1996 წელს ოლქის მოსამართლე ჯოსეფ მ. მაკლაფინმა საქმეში Continental Cas. Co. v. Stronghold Ins. Co გადაზღვრებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგი არ არის ახალი ინსტიტუტი; გადაზღვრა სათავეს იღებს იმ დროიდან, რაც პირველ „ბუკმეიკერს“ შიში გაუჩნდა იმისა, რომ წაგების შემთხვევაში იგი თავის ყველა ფსონს ვერ დაფარავდა, და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ „გაევრცელებინა“ თავისი რისკი სხვა „ბუკმეიკერებთან“ მისი გაზიარებით. აგრეთვე, მოსამართლემ აღნიშნა, რომ გადაზღვრის საშუალებით მზღვეველი კომპანია, რომელიც არც ისე სასიამოვნო დონის რისკს იღებს, ყიდულობს დაზღვევას სხვა სადაზღვევო კომპანიისგან, იმისათვის, რომ პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი მას გადააკისროს. ძირითადი მზღვეველი იწოდება გადამზღვევად. გადამზღვეველი კი არის პირი, რომელიც თანხმდება გადამზღვევის რისკის ნაწილი თავის თავზე აიღოს.⁴⁵

საქმეში Sumitomo Marine & Fire Ins. Co ნიუ იორკის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაზღვრა გულისხმობს მზღვევლების მხრიდან თავიანთი რისკის რელოკაციას, თავიდან განაწილებას. აგრეთვე, სასამართლოს განმარტებით, ძირითად შემთხვევაში ეს არის მზღვეველის დაზღვევა სხვა მზღვეველის მხრიდან.⁴⁶ აგრეთვე, ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაზღვრის ხელშეკრულების დადების დროს, სადაზღვევო კომპანია თანხმდება, რომ გადამზღვეველს გადაუხადოს პრემიის ნაწილი, იმ კომპენსაციის ნაწილის სანაცვლოდ, რომლის გადახდაც მზღვეველს მოუწევს სადაზღვევო პოლისის მფლობელისთვის სათანადო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში. მიუხედავად ამ უზრუნველყოფილი ურთიერთობისა, გადამზღვევი ცდილობს, რომ გადასცეს ან გაავრცელოს მისი დანაკარგების რისკი ერთ ან მეტ გადამზღვეველთან. სასამართლოს განმარტებით, გადაზღვრა განსხვავდება პირდაპირი დაზღვევისგან, როგორც დაზღვევის დამატება, რომელშიც გადამზღვეველი, ძირითად შემთხვევაში, არ არის პირდაპირ ვალდებული ორიგინალურ/თავდაპირველ დამზღვევთან.⁴⁷

1977 წელს საქმეში Skandia Am. Reins. Corp. Schenck სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაზღვრა გულისხმობს, ერთი სადაზღვევო

45 Rogers B., 50 Reinsurance Cases every Risk Professional should know, Dallas, 2014, 3.

46 იქვე, 4.

47 იქვე, 5.



კომპანიისგან აღებული რისკის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემას პრემიის გასაზღვრული ნაწილის სანაცვლოდ. განსხვავებით მზღვეველის ვალდებულებისა, რომ გადაიხადოს ან დაიცვას დამზღვევის ფულადი დავალიანება, გადამზღვეველის პასუხისმგებლობა კი განპირობებულია მზღვეველის დანაკარგებით.⁴⁸

რაც შეეხება უშუალოდ გადამზღვევის ხელშეკრულებას, იგი სასამართლოების მიერ, ისევე, განიხილება, როგორც სხვა კომერციული ხელშეკრულებები.

⁴⁸ იქვე.



დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, გადაზღვრის მთავარი ფუნქციაა რისკის ტრანსფერი.⁴⁹ გადაზღვრის ინსტიტუტის მნიშვნელობიდან და არსიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ერთგვარ გარანტიას სთავაზობს, როგორც მზღვეველს, ასევე, დამზღვევს. იქიდან გამომდინარე, რომ მზღვეველი გადაზღვრის საშუალებით ახდენს დაზღვევის პოლისიდან წარმოშობილი რისკის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველზე, შესაძლებელია, ითქვას, რომ გადაზღვევა ერთგვარ დაცვის საშუალებასაც კი წარმოადგენს თავდაპირველი, ორიგინალური დამზღვევისთვის. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ გადაზღვევა სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფრო მეტ გარანტიას იძლევა დამზღვევისთვის. აგრეთვე, გადაზღვევა თავად მზღვეველისთვის დიდი ფინანსური დანაკარგებისგან დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.

სტატიაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გადაზღვრის ინსტიტუტის მნიშვნელობა დაზღვევის სამართალში საკმაოდ დიდია, იგი არა მხოლოდ იცავს მზღვეველს, არამედ გარკვეულ გარანტიასაც ქმნის თავდაპირველი დამზღვევისთვის, რომ მას სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი აუნაზღაურდება.

49 Zweifel P., Eisen R., Insurance Economics, Berlin, 2012, 188.



2016 წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ გამართა ყოველსემესტრული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია ამ პროექტში თანამშრომლობდა თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და გადაწყვიტა კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების სტატიები გამოეყვეყნებინა ასოციაციის ჟურნალში. მსგავს აქტივობებში ჩართულობით სიფა ხელს უწყობს სტუდენტებში სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზებასა და მათ წახალისებას.

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება და ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულება

თმარ მთივლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი

დავით ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებების სფეროში. ყველა სამართლებრივი სახელმწიფო ცდილობს შეუქმნას თავის მოქალაქეებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა. სახელმწიფოები კისრულობენ საერთაშორისო ვალდებულებებს და იცავენ მათ ეროვნულ დონეზე სამართლებრივი რეგულაციების მეშვეობით. აღნიშნულს მოწმობს „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“ ევროპის კავშირის ქარტიის პრეამბულაც, რომლის მიხედვითაც ევროპული სახელმწიფოები მოწოდებულნი არიან დემოკრატიულ და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაყრდნობით დაიცვან ისეთი ღირებულებები, როგორიც არის ადამიანის ღირსება, თავისუფლება



და თანასწორობა¹. საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი გამოირჩევა აქტუალობით, ჩვენი მოქალაქეები ყოველდღე ხედავენ აღნიშნულ უფლებათა დარღვევის ნათელ მაგალითებს. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს პოზიცია, შეექმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი² და უზრუნველყო მოქალაქეთა ნდობა სახელმწიფოს მიმართ. სათანადო სამართლებრივი რეგულაციის მიღებით ჩვენმა სახელმწიფომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის სამართლის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც, ადამიანი არის ცენტრალური ღირებულება და სამართლის სუბიექტი. მიუხედავად კანონის არსებობისა, პრობლემა აქტუალობას არ კარგავს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივ ანალიზს და მის გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ნაშრომის პირველი თავი ზოგადი ხასიათისაა და მასში მოცემულია ინფორმაცია პერსონალური მონაცემის ცნებისა და სახეების შესახებ. მეორე და მესამე თავებში შევხებით პერსონალური მონაცემების არსს, პრინციპებსა და საფუძვლებს. მეხუთე თავში განვიხილავთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე გაცემული თანხმობის სახეებსა და მისი გამოხმობის წესს, მეექვსეში კი - კანონიერი დამუშავების ფარგლებს. მეშვიდე თავი დაეთმობა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირთა უფლებამოსილებებს, ხოლო მერვე - მონაცემთა სუბიექტის უფლებებს.

1. პერსონალური მონაცემი - საჯარო ინფორმაციის ერთ-ერთი სახე

1.1. ცნება „პერსონალური მონაცემის“ მთავარი ასპექტები

იმისათვის, რომ ვისაუბროთ პერსონალურ მონაცემზე, როგორც საჯარო ინფორმაციის ერთ-ერთ სახეზე, საჭიროა ეროვნული სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით გავანალიზოთ, როგორც „საჯარო ინფორმაციის“, ისე „პერსონალურ მონაცემთა“ ცნებების ლეგალური დეფინიციები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი

1 „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“ ევროპის კავშირის ქარტიის პრეამბულა.

2 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.



ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია“.³ აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამეთავიეხება. კოდექსის მიხედვით, „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა“.⁴ საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით. რაც შეეხება პერსონალურ მონაცემს, კანონის თანახმად, იგი წარმოადგენს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.⁵ პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. საინტერესოა იმ კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა რაობა, რომლებიც საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება. ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁶ ყველა მოქალაქეს შეუძლია, დაეთანხმოს ან უარი თქვას პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე. თუმცა, აღნიშნული არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე⁷ - საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამდებობის პირების შესახებ არსებულ მონაცემებს ეხება.

1.2. პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პერსონალური მონაცემები ორ ძირითად სახედ - ჩვეულებრივ და განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებად, - დაყო.⁸ სასამართლო

3 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი.

4 იქვე, 28-ე მუხლი.

5 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

6 წიკელაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 117.

7 „თანამდებობის პირის“ დეფინიცია მოცემულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1240(კ-08) განჩინება.



ჩვეულებრივ მონაცემებად მიიჩნევა ყველა იმ მონაცემს, რომელიც საჯარო დაწესებულებაში პირის (გარდა თანამდებობის პირებისა) საქმიანობას ან სხვა ქმედებებს შეეხება, ხოლო განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებად - დოკუმენტებს, რომლებიც პირის შეწყალებას, ან სხვა მსგავს საკითხებს მოიცავს.

2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

„პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია“⁹. კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამუშავება ხდებოდეს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. ადამიანმა უნდა იცოდეს, როდის იქნება მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა ლეგიტიმური, რა უფლებები აქვს მას და რა გზით დაიცვას საკუთარი ინტერესები.¹⁰ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, კანონის თანახმად, წარმოადგენს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არა ავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართშესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, შეგროვებას, ჩანერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩანერას, ვიდეოჩანერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.¹¹

3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის აუცილებელია პერსონალური მონაცემები დამუშავებულიქნას კანონითაღიარებული პრინციპებისა და საფუძვლების მიხედვით. პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა არსებითადაა დამოკიდებული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვაზე. კანონში ასახული პრინციპები, მათი მდგრადი ხასიათიდან გამომდინარე, ამკვიდრებენ მონაცემთა დამუშავების ზოგად წესს და განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებლების ქმედების კანონიერებას. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406.408 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

10 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, ანგარიში, თბილისი, 1 მარტი, 2014, 3.

11 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.



დაცვის შესახებ“ განამტკიცებს ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა¹² სამართლიანობა და კანონიერება, მონაცემთა სუბიექტის ღირსების დაცვა, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის არსებობა, პროპორციულობა და ადეკვატურობა, მონაცემების ნამდვილობა და სიზუსტე, მონაცემთა შენახვა მხოლოდ მიზნის მისაღწევად აუცილებელი ვადით.¹³

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ამომწურავად განსაზღვრავს მონაცემთა დამმუშავების საფუძვლებსა და წინაპირობებს. შესაბამისად, ნებისმიერი დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობა მაინც, კერძოდ:

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა ან მისთვის მომსახურების გაწევა;
- კანონიერი საფუძველი ან კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება;
- ინფორმაცია კანონით საჭაროა ან გასაჭაროებულია თავად მონაცემთა სუბიექტის მიერ;
- პირის სასიცოცხლო ინტერესის დაცვა;
- მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვა, თუ მათი ინტერესი აღემატება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს.

მონაცემთა დამმუშავება ხორციელდება მნიშვნელოვანი საჭარო ინტერესის დაცვის მიზნით.

4. პერსონალურ მონაცემთა მომხმარებლები

4.1. დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი არის „საჭარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამმუშავებას“. კანონმდებელმა ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტში განმარტა „უფლებამოსილი პირი“, როგორც „ნებისმიერი ფიზიკური

¹² იქვე, მე-4 მუხლი.

¹³ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, ანგარიში, თბილისი, 1 მარტი, 2014, 4.



ან იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს მონაცემთა დამმუშავებლისათვის ან მისი სახელით“. ყოველივე ამის განსაღვრა კანონმდებელს იმ მიზნით დასჭირდა, რომ ნათელი ყოფილიყო პირთა წრე, რომელთაც მიემართებათ მთელი რიგი უფლებები და მოვალეობები პერსონალურ მონაცემთა საკითხში.

4.2. მიმღები და მესამე პირები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია არც „მიმღებისა“ და „მესამე პირის“ ცნებები. „მიმღები“ კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის „კერძო ან საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, კერძო ან საჯარო სექტორის თანამშრომელი, რომელსაც გადაეცა მონაცემები, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა“. ამრიგად, მიმღებთა წრე საკმაოდ ფართოა და მათ რიგს არ მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელსაც უფლებამოსილების ფარგლებში წვდომა აქვს პერსონალურ მონაცემებზე. რაც შეეხება მესამე პირებს, ისინი წარმოადგენენ „ნებისმიერი ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან საჯარო დაწესებულებას, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა“.¹⁴ კანონი ითვალისწინებს რა მესამე პირების შესაძლო ინტერესებს, ანიჭებს მათ გარკვეულ უფლებამოსილებებს, თუმცა, ამავდროულად, ყოველივე ეს ხორციელდება თანაბომიერებისა და პროპორციულობის საფუძველზე.

5. თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე

5.1. თანხმობის სახეები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველია მონაცემთა სუბიექტის თანხმობა.¹⁵ კერძოდ, ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს, თუ არსებობს მისი ნებაყოფლობითი, მკაფიოდ გამოხატული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების კონკრეტული მოცულობითა და მიზნით დამუშავებაზე.¹⁶ ევროპის კავშირის საბჭოსა და პარლამენტის მიერ მიღებული ერთობლივი დოკუმენტი - მონაცემთა დაცვის დირექტივა - „თანხმობას“ განმარტავს, როგორც „მონაცემთა სუბიექტის სურვილების თაობაზე განხორციელებულ

14 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი.

15 იქვე, მე-5 მუხლი „ა“ ქვეპუნქტი.

16 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, <<https://personaldata.ge/ge/for-organizations/principles-and-basis-of-data-processing>> [24.12.2016].



ნებისმიერ ნებაყოფლობით, კონკრეტულ და ინფორმირებულ გამოხატულებას”.¹⁷

მონაცემთა სუბიექტებისაგან კანონიერი თანხმობის მიღებისათვის ევროპული კავშირის კანონმდებლობა გამოყოფს კანონიერი ძალის მქონე თანხმობის სამ ელემენტს, მათ შესახებ არსებულ მონაცემთა გამოყენების მიზნით:¹⁸

- თანხმობის გაცემისას მონაცემთა სუბიექტი არ უნდა იმყოფებოდეს ზეწოლის ქვეშ;
- მონაცემთა სუბიექტი ჯეროვნად უნდა იცოს ინფორმირებული თანხმობის გაცემის მიზნისა და შედეგების შესახებ;
- თანხმობის ფარგლები რაც შეიძლება მეტად კონკრეტული უნდა იყოს.

მაშასადემე, შეგვიძლია გამოვყოთ თანხმობის სამი სახე: ნებაყოფლობითი თანხმობა, ინფორმირებული თანხმობა, კონკრეტული თანხმობა.

5.2. გაცემული თანხმობის ნებისმიერ დროს უკან გამოთხოვის უფლება

მონაცემთა დაცვის დირექტივა არ შეიცავს გაცემული თანხმობის ნებისმიერ დროს უკან გამოთხოვის ზოგად უფლებას. თუმცა, ფართოდ აღიარებულია, რომ ამგვარი უფლება არსებობს და მონაცემთა სუბიექტებისთვის უნდა იყოს შესაძლებელი ამ უფლების რეალიზაცია საკუთარი შეხედულებისამებრ. გაცემული თანხმობის გამოთხოვის შესახებ არ უნდა მოითხოვებოდეს ახსნა-განმარტება და თანხმობის გაუქმებას არ უნდა სდევდეს ნეგატიური შედეგები ან რაიმე სარგებლის გაუქმება, რაც თავდაპირველად არსებობდა მონაცემთა გამოყენების შედეგად.¹⁹

6. კანონიერი დამუშავების წესები

6.1. კანონიერი დამუშავების წესები

მონაცემთა დაცვის დირექტივა შეიცავს მონაცემთა კანონიერი დამუშავების წესების შესახებ ორისა ხის განსხვავებულ რეგულირებას: პირველი ეხება არასენსიტიური კატეგორიის მონაცემებს, რომელიც

17 Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, Article 2 (h).

18 Handbook on European data protection law, Council of Europe, 2014, 56.

19 იქვე, 60.



მე-7 მუხლში²⁰ არის მოცემული და მეორე - სენსიტიური კატეგორიის მონაცემებს, რომელიც მე-8 მუხლში არის რეგლამენტირებული.

თანხმობას, როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძველს, არ ითვალისწინებს კონვენციის მე-8 მუხლი.²¹ თუმცა, იგი მითითებულია მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებში თანხმობის როლზე უკვე ვისაუბრეთ წინა თავში, ამიტომ აღარ შევჩერდებით მასზე.

ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა ლეგიტიმური დამუშავების მორიგი საფუძველი (სახელშეკრულებო ურთერთობა) მოცემულია მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, კერძოდ, თუ დამუშავება „აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისათვის, რომლის მხარეს წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტი“. ეს დებულება, ასევე, ვრცელდება წინა-სახელშეკრულებო ურთერთობებზეც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების აღნიშნულ საფუძველს.

ევროკავშირის კანონმდებლობა მკაფიოდ ადგენს მონაცემთა დამუშავების პროცესის ლეგიტიმურობის მორიგ კრიტერიუმს, კერძოდ, თუ „იგი არის აუცილებელი იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც აკისრია მონაცემთა დამმუშავებელს“ (მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი). დამმუშავებლის სამართლებრივ ვალდებულებებს, როგორც მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ საფუძველს, ითვალისწინებს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს კანონმდებლობაც.²²

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება კანონიერია თუ იგი „არის აუცილებელი მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად“. ევროპის საბჭოს კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესები არ არის მოცემული კონვენციის მე-8

20 Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, Article 7.

21 Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Strasbourg, 28/01/1981.

22 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი „გ“ ქვეპუნქტი.



მუხლში, როგორც მონაცემთა დაცვის უფლებაში ლეგიტიმური ჩარევის საფუძველი.

საზოგადო ურთიერთობათა მოწესრიგების შესაძლო მრავალი საშუალებიდან, მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის „e“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ პერსონალური მონაცემები შესაძლოა კანონიერად დამუშავდეს თუ ის „არის აუცილებელი საჯარო ინტერესის ფარგლებში შესასრულებელი მოქმედებისათვის ან სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილების განსახორციელებლად, რისი შესარულებაც დაკისრებული აქვს დამმუშავებელს ან მესამე პირს, რომელსაც გადაეცა მონაცემები“. სახელმწიფო ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა საჯარო მიზნებისათვის გამოყენებაზე, ასევე, ვრცელდება კონვენციის მე-8 მუხლი.

მონაცემთა სუბიექტი არ არის ერთადერთი ლეგიტიმური ინტერესის მქონე. მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის „f“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ პერსონალური მონაცემები შესაძლებელია კანონიერად დამუშავდეს, თუ ეს „აუცილებელია დამმუშავებლის ან მესამე პირის ან იმ პირების ლეგიტიმური ინტერესის მიზნებისათვის, რომელთაც გადაეცათ მონაცემები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ინტერესი აღმატებულია და მოითხოვს დაცვას“. დამმუშავებლის ან მესამე პირის ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებას, როგორც მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ საფუძველს, ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც.²³

ქართული კანონმდებლობა ევროპულისგან განსხვავებით ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების ისეთ საფუძვლებს, როგორებიცაა: მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;²⁴ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომობა ან მონაცემთა სუბიექტის მიერ მათი ხელმისაწვდომად გახდა,²⁵ მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა.²⁶

23 იქვე, „e“ ქვეპუნქტი.

24 იქვე, „b“ ქვეპუნქტი.

25 იქვე, „c“ ქვეპუნქტი.

26 იქვე, „d“ ქვეპუნქტი.



6.2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონიერი დამუშავება

ევროპის საბჭოს კანონმდებლობა ნებას რთავს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას განსაზღვროს შესაბამისი დაცვის ზომები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გამოყენებისათვის, მაშინ, როდესაც ევროპული კავშირის კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-8 მუხლი შეიცავს დეტალურ წესებს იმ კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის, რომელიც ავლენს: რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს, სავაჭრო გაერთიანების წევრობის შესახებ ინფორმაციას ან ინფორმაციას ჯანმრთელობისა და ცხოვრების შესახებ. ზოგადად, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება აკრძალულია.²⁷ თუმცა, არსებობს მოცემული აკრძალვის გამონაკლისთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც დადგენილია დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით. ეს გამონაკლისები შეიცავს მონაცემთა სუბიექტის აშკარა თანხმობას, მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესებს, სხვათა ლეგიტიმურ ინტერესებსა და საჯარო ინტერესებს.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევებში, როცა: ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს; გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის; დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე; ე) მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერ-

²⁷ Data Protection Directive, Article 8 (1).



თიანების/ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან; ვ) ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით; ზ) მონაცემები მუშავდება „არა-საპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შე-სახეზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით.²⁸

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებლობის მქონე პირები

მონაცემთა დაცვის დირექტივა განსაზღვრავს შესაძლებლობას, რომ დამმუშავებლებისთვის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგინდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის უფლებამოსილება.²⁹ ამ მოცემულობის მიზანია, მოხდეს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა დამმუშავებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენისგან,³⁰ რის მისაღწევად აუცილებელია პასუხისმგებელი პირის პოზიციის დამოუკიდებლობის გარკვეული დონით უზრუნველყოფა დამმუშავებლის ორგანიზაციაში, რაც მკაფიოდ არის დადგენილი დირექტივით.³¹ მონაცემთა დაცვის შიდასახელმწიფოებრივ კანონთან შესაბამისობის ხელშეწყობისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა პასუხისმგებელი პირების კონცეფცია, ასევე, დადგენილ იქნა ევროპის საბჭოს ზოგიერთი რეკომენდაციით.³²

8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

8.1. წვდომისა და გასაჩივრების უფლება

ევროპის საბჭოს კანონმდებლობის მიხედვით, პირის მიერ საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლება მკაფიოდ აღიარებულია „პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 108-ე კონ-

28 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი მე-6 პუნქტი.

29 Data Protection Directive, Article 18 (2).

30 იქვე.

31 Handbook on European data protection law, Council of Europe, 2014, 101.

32 მაგალითად, the Profiling Recommendation, Article 8.3.



ვენციის (შემდგომში - 108-ე კონვენცია) მე-8 მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ პირს გააჩნია უფლება მიიღოს ინფორმაცია საკუთარი პერსონალური მონაცემების შესახებ, რომელსაც ფლობს ან იყენებს სხვა, ხოლო ეს უფლება გამომდინარეობს პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობიდან.³³ ლეანდერის საქმეზე,³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლება, რომელიც შენახული აქვთ საჯარო ორგანოებს, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია იქნეს შეზღუდული. ევროპული კავშირის კანონმდებლობის მიხედვით, პირის უფლება განახორციელოს წვდომა საკუთარ მონაცემებზე, მკაფიოდ დადგენილია მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-12 მუხლით და, როგორც ძირითადი უფლება, ქარტიის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით.

გასაჩივრების უფლება მოიცავს ცალკეული ავტომატიზებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების,³⁵ მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე გასაჩივრებისა³⁶ და პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა შემდგომი გამოყენების გასაჩივრების³⁷ უფლებას.

8.2. დამოუკიდებელი ზედამხედველობა

მონაცემთა დაცვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, იქმნება დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო, რომელიც უნდა მოქმედებდეს სრული დამოუკიდებლობით, რაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სადამფუძნებლო კანონით და ასახული საზედამხედველო ორგანოს სპეციალურ ორგანიზაციულ სტრუქტურაში. საზედამხედველო ორგანოს გააჩნია სპეციალური ამოცანები, მათ შორის:³⁸

- შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მონაცემთა დაცვის მონიტორინგი და ხელშეწყობა;
- კონსულტაციის გაწევა მონაცემთა სუბიექტებისა და დამმუ-

33 გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gaskin v. the United Kingdom*), 1989 წლის 7 ივლისი; ოდიევრე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Odievre v. France*), 2003 წლის 13 თებერვალი; კ. ჰ. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ (*K.H. and Others v. Slovakia*), 2009 წლის 28 აპრილი; გოდელი იტალიის წინააღმდეგ (*Godelli v. Italy*), 2012 წლის 25 სექტემბერი.

34 ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ (*Leander v. Sweden*), 1987 წლის 26 მარტი.

35 Handbook on European data protection law, Council of Europe, 2014, 112.

36 იქვე, 113.

37 იქვე, 114.

38 იქვე, 114-115.



შავებლებისთვის, ისევე, როგორც ხელისუფლებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის;

- საჩივრების განხილვა და მონაცემთა სუბიექტისთვის დახმარების აღმოჩენა მონაცემთა დაცვის უფლების შესაძლო დარღვევებისას;
- დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების ზედამხედველობა;
- აუცილებლობისას, ჩარევის განხორციელება: 1. გაფრთხილებით, მოთხოვნის დაყენებით ან დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების დაჯარიმებით; 2. მონაცემთა შესწორების, დაბლოკვის ან წაშლის შესახებ ბრძანების გაცემით; 3. მონაცემთა დამუშავების აკრძალვით;
- წარადგინოს საკითხები სასამართლოში განსახილველად.

8.3. სამართლებრივი დაცვა და სანქციები

108-ე კონვენციისა და მონაცემთა დაცვის დირექტივის მიხედვით, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს სამართლებრივი დაცვის შესაბამის საშუალებებს და აყალიბებდეს სანქციებს მონაცემთა დაცვის უფლების დარღვევისთვის. უფლება ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე, ევროპული კავშირის კანონმდებლობით მოითხოვს, რომ განისაზღვროს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მონაცემთა დაცვის უფლებათა დარღვევისთვის, საზედამხედველო ორგანოსათვის მიმართვის შესაძლებლობის მიუხედავად. სანქციები უნდა იქნეს დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, რომელიც უნდა იყოს ეფექტური, ეკვივალენტური, პროპორციული და ქმედითი. სასამართლოსთვის მიმართვამდე, პირმა ჯერ უნდა მიმართოს დამმუშავებელს. იქნება თუ არა სასამართლოსთვის მიმართვამდე საზედამხედველო ორგანოსთვის მიმართვა სავალდებულო, განსაზღვრია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.³⁹

³⁹ იქვე, 118-119.



დასკვნა

დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველო ვალდებულია, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას მოახდინოს 108-ე კონვენციის იმპლემენტაცია. მიღებულ იქნა კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რათა პერსონალური მონაცემების დამუშავება, გადაცემა, შენახვა და დაცვა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე, სახელმწიფომ დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას შორის.


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან ერთად, პერსონალური მონაცემებისა და პირადი საიდუმლოების მარეგულირებელ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს, „ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე, მიიღოს ასლები, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას“. ამ კანონით, პერსონალური მონაცემი განმარტებულია, როგორც საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ხოლო პერსონალური მონაცემის პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. ქართული კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს პირს, რომელზეც გროვდება ინფორმაცია, აცნობოს ამ მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძვლები; სხვა წყაროდან პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება საჯარო დაწესებულებას აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა. სხვა წყაროდან პერსონალური მონაცემების მოპოვების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, შესაბამის პირს მიაწოდოს ინფორმაცია ინფორმაციის მომწოდებლის და იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შესაძლოა გადაეცეთ ეს მონაცემები.



ადვოკატთა კლუბი

2017 წლის 25 მაისს, სიფას წევრი იურიდიული ფირმების წარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ - „ადვოკატთა კლუბში“, რომელიც წარმოადგენს წევრი იურიდიული კომპანიების ადვოკატების გაერთიანებას და მიზნად ისახავს კლუბის წევრი ადვოკატების, პერიოდულად, არაფორმალურ გარემოში შეკრებას. დატვირთული სამუშაო გრაფიკისგან განტვირთვისა და ადვოკატებს შორის ურთიერთობების განმტკიცების მიზნით, სიფა ორგანიზებას უწევს ადვოკატთა კლუბის შეხვედრებს. კლუბის წევრები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სახის შეჯიბრში. ფორმატი ითვალისწინებს, როგორც გასართობ, ასევე, ინტელექტუალურ თამაშებს.







რეკომენდაციები ავტორებისათვის

1. სტატიაში უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა, სტატუსი და სტატიის სახელწოდება.
2. ავტორმა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალში ნაშრომი უნდა წარმოადგინოს პირველად გამოქვეყნების მიზნით; სტატია არ უნდა იყოს მანამდე გამოქვეყნებული, ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული.
3. სტატიის ძირითადი, ქართულენოვანი ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Sylfaen-ში – 11 ფონტში (სქოლიო იმავე ფონტის 10-იანი შრიფტით), ხოლო უცხოენოვანი ტექსტი კი _ Times New Roman – 11 (სქოლიო იმავე ფონტის 10-იანი შრიფტით).
4. ძირითად ტექსტში ხაზებს შორის მანძილი უნდა იყოს 1,15, ხოლო სქოლიოს ტექსტში 1,0. აბზაცებს შორის მანძილი უნდა იყოს 0.
5. სტატია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის word-ის დოკუმენტში, მინდორი, ოთხივე მხრიდან უნდა იყოს 2-2-2-2.
6. აბზაცი უნდა იყოს 0,5 სანტიმეტრი, რომელიც შექმენით ENTER-ით და არა TAB კლავიშით.
7. წარმოდგენილი სტატია უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). შესავალი და დასკვნა არ ინომრება, ხოლო ნაშრომის ძირითადი ნაწილი სტრუქტურულად უნდა იქნეს ჩაშლილი: თავებად, ქვეთავებად და ა.შ. შესაბამისად დანომრილი: 1.; 1.1.; 1.2.; 1.2.1.; 1.2.2.; 1.3. და ა.შ.
8. შენიშვნა (სქოლიო) უნდა განთავსდეს ყოველი გვერდის ბოლოში.
9. ლიტერატურის ავტორის გვარი და სახელის ინიციალი (ასევე, მთარგმნელისა და რედაქტორის – არსებობის შემთხვევაში) დაწერეთ დახრილი ასოებით ანუ ე.წ. Italic.
10. სამეცნიერო ლიტერატურის ციტირებასთან დაკავშირებით საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის მიერ დადგენილი მოთხოვნები იხილეთ ასოციაციის ვებ-გვერდზე.



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA



საპროცესო (პროცესი) მენეჯერი



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA



საპროცესო (პროცესი) მენეჯერი



ASSOCIATION OF LAW FIRMS OF GEORGIA

მის: მარჯანიშვილის ქ. №5
0102, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 20 60 80
ელ-ფოსტა: office@alfg.ge